

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა**
2019-2020 წელი

საქმიანობა:

უნივერსიტეტის გამომცემლობა წელიწადში დაახლოებით 150-180 წიგნს ბეჭდავს.

გამომცემლობას ნებისმიერი სირთულის ნათარგმნი თუ ორიგინალური წიგნის რედაქტირება, გაფორმება, დაკაბადონება, გამოცემა, დაბეჭდვა და ტირაჟირება შეუძლია. ვმუშაობთ როგორც ელექტრონულ, ასევე ციფრულ და პოლიგრაფიულ ფორმატებში.

გვყავს სარედაქციო, დიზაინისა და ტექნიკური განხრის ძალიან მაღალი კლასის სპეციალისტები.

ვანარმოებთ მოლაპარაკებებს უცხოურ გამომცემლობებთან ფაკულტეტების მიერ მოთხოვნილი წიგნების თარგმნისა და გამოცემის უფლების მოსაპოვებლად.

ვთანამშრომლობთ უნივერსიტეტთან ასოცირებულ სამეცნიერო ინსტიტუტებთან. მათ შორის: ენათმეცნიერების, გეოგრაფიის, ლიტერატურის, ეკონომიკის, გეოფიზიკის, მათემატიკის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტებთან... გამოვცემთ მათ სამეცნიერო შრომებს, მონოგრაფიებს, საკონფერენციო მასალებსა და სხვა სახის ნაშრომებს.

გამომცემლობას აქვს საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა. ვბეჭდავთ ნებისმიერი სახის ფერად და შავ-თეთრ პროდუქციას: პოსტერებს, ბუკლეტებს, ფლაერებს, ტრიპლეტებს, სერტიფიკატებს, მოსაწვევებსა და სავიზიტო ბარათებს... რბილ და მაგარყდიან წიგნებს.

წიგნის წარმოებაში მიღების პროცედურა:

ავტორი თავის ნაშრომს წარადგენს **ფაკულტეტზე არსებულ საგამომცემლო საბჭოზე** და დადებითი დასკვნის შემთხვევაში ფაკულტეტი თავად მიმართავს თსუ საგამომცემლო საბჭოს. გამომცემლობაში საგამომცემლო საბჭოს გადანაცვლები კანცელარიის გავლით შემოდის.

კონფერენციის მასალების ბეჭდვის შემთხვევაში აუცილებელია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობა. საიუბილეო მასალები კი რექტორის ბრძანების საფუძველზე იბეჭდება.

უნივერსიტეტთან ასოცირებული სამეცნიერო ინსტიტუტები არ საჭიროებენ საფაკულტეტო საგამომცემლო საბჭოს დასკვნას. მათგან პროდუქცია **დირექტორის** ან ხელმძღვანელის ხელმოწერით იგზავნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და უკვე ვიზირებული შემოდის გამომცემლობაში.

კერძო შემთხვევებში ავტორი ან ავტორთა ჯგუფი მიმართავს ან უშუალოდ რექტორს (რომელიც იმავდროულად საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეა), ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ან საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს და მათი ნებართვის

შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, გამომცემლობა შეასრულებს კერძო დაკვეთას.

სამუშაო პროცესი:

გამომცემლობა ასრულებს როგორც **სარედაქციო (დანართი 1)**, ასევე **პოლიგრაფიულ** სამუშაოებს (დანართი 2).

ჩვენთან შემოდის მასალა, რომელსაც ესაჭიროება:

რედაქტირება¹ და **ბეჭდვა** (მთელი პროდუქციის დაახლოებით 60-70 %);

მხოლოდ ბეჭდვა (მთელი პროდუქციის დაახლოებით 30-40%. ამგვარი მასალის უმრავლესობა ინსტიტუტებიდან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან შემოდის)

მხოლოდ **რედაქტირება** (ეს იშვიათობაა და ძირითადად ელექტრონულ წიგნებს ეხება);

არ ესაჭიროება არც ერთი (ასეთია მხოლოდ დისერტაციები, რომელთაც არც ვბეჭდავთ, არც რედაქტირებას ვუკეთებთ და მხოლოდ ვებგვერდზე ვტვირთავთ).

ვადები:

გამომცემლობას უწევს გეგმიურ და ოპერატიულ (იგივე სასწრაფო) შეკვეთებზე მუშაობა.

გეგმიური შეკვეთა

ეს არის პროდუქცია, რომელიც გამომცემლობაში შემოდის სტანდარტული წესით და რაიმე **ვადებით** ან სახელშეკრულებო ვალდებულებებით **არ არის შეზღუდული**.

ოპერატიული ანუ სასწრაფო შეკვეთა

ოპერატიული ანუ **სასწრაფო** შეკვეთას ისეთ პროდუქციას ვუნოდებთ, რომელიც რიგგარეშე, გაუთვალისწინებლად, შეზღუდულ ვადებში შემოდის გამომცემლობაში (რაიმე თარიღის, ღონისძიების, იუბილეს, სახელშეკრულებო შეზღუდვის გამო) და აუცილებლად საჭიროებს **სწრაფ** შესრულებას. ამგვარი შეკვეთები ძირითადად რექტორატიდან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან შემოდის, რადგან ხშირად ეს სასაჩუქრე ან სარეკლამო პროდუქციაა და აუცილებელია მათი მოსწრება კონკრეტული თარიღის ან ღონისძიებისთვის.

დღეის მდგომარეობით, საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადანყვეტილებით, პრიორიტეტად **სათარგმნი პროგრამის ფარგლებში შემოსული სახელმძღვანელოები** ითვლება, რომლებიც რიგგარეშე მიდის რედაქტირებასა თუ დაკაბადონებაზე.

¹ ტერმინში **რედაქტირება**, ამ შემთხვევაში, იგულისხმება ყველა სახის სარედაქციო სამუშაო: კორექტირება, რედაქტირება, დიზაინი, დაკაბადონება.

პოპულარული პროექტები:

სპეციალისტთა და მკითხველთა მონონებს იმსახურებს:

- „მაკროეკონომიკა“ – ოლივერ ბლანშარი (სამეც. რედ. ნ. ხადური)
- „საერთაშორისო სამართალი და საქართველო“ – ლევან ალექსიძე
- ქართულ-რუსული ლექსიკონი
- ადამიანის გენეტიკა – თეიმურაზ ლეჟავა
- „გილგამეშანი“ და „კელიშინის სტელა“ – მიხაკო წერეთელი
- „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ – ზიმბარდო, გერიგი
- საერთაშორისო ბიზნესი – ჯონ დ. დენიელსი, ლი ჰ. რედებოგი, დენიელ პ. სალივანი (სამეც. რედ. თ. შენგელია)
- „სტატისტიკა ზუსტ მეცნიერებებში“ – ჰაროლოდ კისი
- შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში – სოსო მარგიშვილი
- „მენეჯმენტი“ – რობინსი და კოულტერი (სამეც. რედ. დ. ნარმანია)
- ფარმაკოლოგია – ვოლენი, ფინკელისა და პანაველილის თანარედაქტორობით (სამეც. რედ. თ. კეხელი)
- „ლინგვისტიკის ისტორია ევროპაში“ – ვივიენ ლო (სამ. რედ. ლ. გოგქსაძე)
- „ხევსურული პოეზია“ – აკაკი შანიძე
- „სისხლის სამართლის საფუძვლები“ – ვესელსი და ბიოლკე (სამეც. რედ. ირაკლი დვალიძე)
- „მარკეტინგის მენეჯმენტი“ – კოტლერი, კელერი (სამეც. რედ. ნ. თოდუა)
- „სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“ – ანდერსენი, სვინი, უილიამსი (სამეც. რედ. ქ. მარშავა)
- „სოციალური ახსნის მრავალფეროვნება“ – დენიელ ლიტლი
- ადამიანის ანატომიის ჯიბის ატლასი – ვ. დობერი (სამეც. რედ. მ. კორძია)
- „ბიოგეოგრაფია“ – არნოლდ გეგეჭკორი
- „გერმანული ენის გრამატიკა“, I-IV ტომი – მარინე ანდრაზაშვილი
- „მაკროეკონომიკის თეორია“ – ნიკოლსონი, სნაიდერი (სამეც. რედ. ე. ხარაიშვილი)
- სოციალური სტატისტიკა – ნაჩმიასი და გერეგო (სამეც. რედ. – ს. გელაშვილი, რედ. – ქ. მარშავა)
- „თეორიული ენათმეცნიერების საკითხები“ – თამაზ გამყრელიძე
- „ოსური მითები და რიტუალები“ – ნუგზარ ანთელავა
- პრაქტიკული კურსი ანალიზურ კითხვაში (ინგლ. ენაზე) 1,2,3 ნაწილი – დ. სირია, გ. ყუფარაძე, ლ. დუმბაძე
- შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში – მ. რუსეიშვილი, ლ. დოლიძე
- ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები – ო. ფურთუხია
- გაერთიანებული სამეფო – რ. გაჩეჩილაძე
- მენეჯერული ეკონომიკა – კიტი, იანგი, ერფლი (სამეც. რედ. ე. ხარაიშვილი)
- მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა – თ. პაიჭაძე
- კერძო პათოლოგიური ანატომია – თ. ჯორბენაძე, გ. პატარაია, ნ. ჯორბენაძე, ტ. მერმანიშვილი

ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის ცნობილი სერიის **Very short introductions**

პირველი ნიგნები:

- „ნაწილაკების ფიზიკა“ (ფრენკ ქლოუზი),
- „ცნობიერება“ (სიუზან ბლექმორი),
- „მათემატიკა“ (ტომოთი გოუერსი),
- „სამართლის ისტორია“ (რეიმონდ უექსი)
- „ლიტერატურის თეორია“ (ჯონათან ქულერი),
- „ფიქციოლოგია“ (ჯილიან ბატლერი და ფრედა მაკმანუსი),
- „ისტორია“ (ჯონ არნოლდი).

სერია „საუნჯე“ – გამოსულია 6 ნიგნი

- **ვეფხისტყაოსანი**
- ალექსანდრე ყაზბეგი – „**მოთხრობები**“
- უილიამ შექსპირი – „**ტრაგედიები**“
- სერვანტესი – „**დონ კიხოტი**“ (მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე)
- ფერდინანდ სელინი – „**მოგზაურობა ღამის დასალიერში**“ (მთარგმნელი სიბილა გელაძე)

დასრულებულია მუშაობა ჰეროდოტეზე, მთავრდება ვაჟა-ფშაველა.

გამოცემული ნიგნების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, კრებულების, სამეცნიერო შრომებისა და მასალების შესახებ იხილეთ

<https://www.facebook.com>-ზე **თსუ გამომცემლობა**

დანართი 1.

სარედაქციო სამუშაოები:

გამომცემლობაში წიგნი გადის შემდეგ ეტაპებს:

პირველი რედაქტირება – რედაქტორი კითხულობს ამონაბეჭდს და ქალაქდზე შეაქვს შესწორებები. ხვდება ავტორს, აცნობს თავის შენიშვნებს და აზუსტებს მასთან ბუნდოვან ადგილებს.

ჩასწორება – რედაქტორის მიერ გაკეთებული შესწორებები გადაგვაქვს კომპიუტერში (სამუშაო ამ ეტაპზე MICROSOFT WORD-ში სრულდება). ამავე ეტაპზე წესრიგდება შრიფტები, გადატანები, გვერდის ზომა და სხვ.

შედარება – რედაქტორი ადარებს ელექტრონულ კორექტირებულ ტექსტს თავის ჩასწორებებს, რათა არ იყოს გაპარული ახალი შეცდომა ან რაიმე გამორჩენილი. აქვე თანხმდება მომავალი წიგნის დიზაინიც.

უცხოენოვანი ტექსტის რედაქტირება – სწორდება **ფურცლებზე** ან პირდაპირ კომპიუტერში. შესწორებები თანხმდება ავტორთან.

დაკაბადონება – შედარებული ელექტრონული ტექსტი გადაგვაქვს პროგრამა ADOBE INDESIGN-ში. აქ მას წიგნის ფორმა ეძლევა. თუ ტექსტი შეიცავს ფოტოებს, გრაფიკებს, ტაბულებს და სხვ., მუშავდება ეს მასალაც (ფორმატირება, სკანირება, განმენდა, ფერების დასმა).

რედაქტირება – რედაქტორი ამჯერად უკვე დაკაბადონებულ ტექსტს კითხულობს და ასევე ამონაბეჭდზე აკეთებს ჩასწორებებს.

ავტორთან შეთანხმება – ავტორს მიაქვს რედაქტირებული, დაკაბადონებული ტექსტი, ეცნობა მას და თავის საბოლოო შენიშვნებს ათანხმებს რედაქტორთან.

ბოლო ჩასწორება – ქალაქდზე არსებული ჩასწორებები ისევ გადადის კომპიუტერში და შედარების შემდეგ მზადდება საბეჭდი ვერსია pdf ფორმატში. საბოლოო ვერსია მიაქვს ავტორს გადასახედად.

პრე-პრესს – შეთანხმებული, ჩასწორებული, უცხოენოვანი რედაქტორის მიერ ვიზირებული, გამზადებული წიგნი ლოგოთი, ISBN-ით და ინსტრუქციებით მიდის სტამბაში.

ყდა – ყდის დიზაინის მოფიქრება, შეთანხმება, კომპიუტერში შესრულება, წიგნის ზომაზე მორგება.

შენიშვნა წიგნზე მუშაობის ვადები დამოკიდებულია ავტორის ან ავტორთა ორგანიზებულობაზე და დიდწილად იმაზეც, თუ რამდენად მომზადებული, სრულფასოვანი და დასრულებულია თავად დედანი (ხელნაწერი).

დანართი 2.

პოლიგრაფიული სამუშაოები

საბეჭდი დანადგარები:

ჩვენი სტამბა აღჭურვილია 2 ტიპის საბეჭდი დანადგარით: **ციფრული** და **ოფსეტური**.

ციფრული ბეჭდვა

ციფრული დანადგარი (იგივე რიზოგრაფი) განკუთვნილია **დაბალტირაჟიანი** (300 და ქვემოთ) **შავ-თეთრი** ბეჭდვისათვის. ჩვენ სხვადასხვა ფორმატის ასეთი სამი დანადგარი გვაქვს.

სტამბაში არის ორი **ფერადი** ციფრული საბეჭდი მანქანაც ე.წ. ფერადი რიზოგრაფი – ქსანტე და კონიკა, ამ ციფრულ დანადგარებზე ვბეჭდავთ სერტიფიკატებს, ფლაერებს, პოსტერებს, აგრეთვე დაბალტირაჟიანი (100 და ქვემოთ) წიგნის ყდებს.

ოფსეტური ბეჭდვა

ორფერი ოფსეტური **დანადგარი** (იგივე **რიობი**) განკუთვნილია **მაღალტირაჟიანი** (300 და ზემოთ), **მრავალგვერდიანი** (500 და ზემოთ) **შავ-თეთრი** და **ფერადი** ბეჭდვისათვის.